



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011787090244421

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

113632

17 / მარტი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 118201/17; თარიღი: 15.03.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი: მახმად მამედოვის (პირადი ნომერი 36001005240) წარმომადგენელი თეა შოვნაძე (პირადი ნომერი 36001007516).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „კახეთის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ № 882020668558-14 (15.02.2021) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა: სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №882020668558-14 (15.02.2021) გადაწყვეტილების გაუქმება.

უძრავი ნივთის მისამართი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, იორმულანლო.

№ 882020668558 სარეგისტრაციო განცხადებით მოთხოვნილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმულანლოში მდებარე უძრავი ნივთზე (საკადასტრო კოდი 55.32.51.014) საკუთრების უფლების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრის მონაცემებით, სარეგისტრაციო უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია რამინ მამედოვის (პირადი ნომერი 36001002693) საკუთრების უფლება და სს „ლიბერთი ბანკის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 203828304) იპოთეკა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება; ამ კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში; ამ კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

№ 118201/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.


ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმობაში მახმად მამედოვის წარმომადგენლის თეა შოვნაძის 2021 წლის 15 მარტის №118201/17 ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ადმინისტრაციულ წარმობაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნენ: რამინ მამედოვი (პირადი ნომერი 36001002693) და სს „ლიბერთი ბანკი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 203828304)
3. ადმინისტრაციული საჩივრისა და მას თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს ადმინისტრაციულ წარმობაში ჩაბმულ დაინტერესებულ მხარეებსა და კახეთის რეგიონულ ოფისს.
4. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმობაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.
5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლსა (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და იორმულანლოს საზოგადოებრივ ცენტრში და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;
6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;
7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



დავით დევიძე